

წლიური ანგარიში საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ

2016 წელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო 36 00

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგინალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი 29-

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა - 36 01

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
36 01	პროგრამა ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	29500,0	30635,9	30002.6	97.93 %	
360101	ქვეპროგრამა ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება	4000.0	5675.2	5370.2	94.62 %	
36010101	ქვეპროგრამა ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი	3300.0	4975.2	4731.1	95.09 %	
36010102	ქვეპროგრამა სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო	700.0	700.0	639.1	91.3	371.7
360102	ქვეპროგრამა მოსახლეობის ელექტროენერ	20000.0	20568.2	20544.8	99.89	

	გიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება					
360103	ქვეპროგრამა ყაზბეგის მუნიციპალიტ ეტისა და დუშეთის მუნიციპალიტ ეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობის ათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულები ს ანაზღაურები ს ღონისძიება	5500.0	4392.5	4087.6	93.06 %	

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

2016 წლის განმავლობაში გამართა შეხვედრები საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებული, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოური კომპანიების წარმომადგენლებთან.

განხილული იქნა ინვესტორი კომპანიების მხრიდან პოტენციური ელექტროსადგურების საინვესტიციო წინადადებები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები, მომზადდა რეკომენდაციები მემორანდუმების გასაფორმებლად (30 პროექტზე);

შეფასებული იქნა საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები (78 პროექტზე);

ხელი მოეწერა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შერთების შესახებ ოქმს“. შესაბამისი პროცედურის გავლის შემდეგ, საქართველო „ენერგეტიკული გაერთიანების“ ოფიციალური და სრულფლებიანი წევრი გახდება.

მომზადდა ეროვნული ენერგეტიკული ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტი. დაგზავნილია შესაბამის სამინისტროებში კომენტარებისათვის;

მიმდინარეობს დაბალ ემისიებიანი განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა. მომზადდა საბოლოო ანგარიშები;

დაიწყო ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება. დასრულდა ტენდერი გამოვლინდა გამარჯვებული კომპანია. პროგრამა ხორციელდება დანიის მთავრობის მხარდაჭერით.

ახალი ერთობლივი პროექტების ინიცირების მიზნით შედგა შეხვედრა ნორვეგიის წყლის რესურსების და ენერგეტიკის დირექტორატის წარმომადგენლებთან. პროგრამის ფარგლებში იგეგმება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ნორვეგიაში სამაგისტრო პროგრამებზე დაფინანსების გამოყოფა, ენერგეტიკის სამინისტროს თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის

ასამაღლებელი კურსების ორგანიზება და ასევე სხვა ღონისძიებები, რომლებიც ენერგეტიკის სექტორის განვითარებას შეუწყობს ხელს.

მიმდინარეობდა მუშაობა სსიპ „ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს“ ნორმატიული აქტის პროექტზე „ნავთობის ბუნებრივი დანაკარგების ნორმების დადგენის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული აქტით დადგინდება ნავთობის დანაკარგებთან დაკავშირებული ნორმატივები, რომელსაც ადგილი აქვს ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის შეგროვების, მომზადების, შენახვის და გადამუშავების დროს განსაზღვრული საქმიანობის პროცესში.

განხორციელდა ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში გაცემული საქმიანობის ლიცენზიების პირობების შესრულების მონიტორინგი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.

ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.

ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.

განხორციელდა გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყველა მომპოვებელი სალიცენზიო ბლოკის ინსპექტირება;

დაიწყო მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განხორციელებისათვის საჭირო პროცედურები

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

ახალი ელექტროსადგურების რაოდენობა;

უცხოური ინვესტიციების მოცულობა;

ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება;

ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოება;

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

განხილულია ინვესტორი კომპანიების მხრიდან პოტენციური ელექტროსადგურების საინვესტიციო წინადადებები და მომზადდა შესაბამისი დასკვნები, მომზადდა რეკომენდაციები მემორანდუმების გასაფორმებლად (30 პროექტზე);

შეფასებულია საქართველოს მთავრობასა და ინვესტორ კომპანიებს შორის გაფორმებული მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებებით წარმოდგენილი, განსახორციელებელი ჰიდროელექტროსადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებები და დაიწერა შესაბამისი დასკვნები (78 პროექტზე);

მოლაპარაკებები პოტენციურ ინვესტორებთან ქ.ფოთში გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის თობაზე. გაზსაცავის მოწყობის ლიცენზიის შემოღებასთან დაკავშირებით დაიწყო ცვლილებების შემუშავება საქართველოს კანონში „ნავთობისა და გაზის შესახებ“.

1.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება 36 01 01

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო და სსიპ -ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა-

1.1.1.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი 36 01 01 01
ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე, შემდეგ კომპანიებთან:

- შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ - მაგანა და ლექარდე ჰესების კასკადი;
- შპს „ალტ ენერჯი“ - გარდაბნის ბიო-თბოელექტროსადგური;
- სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“ - ცენტრალური ქარის ელ.სადგურები;
- სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“ - ნიგოზას ქარის ელ.სადგური.
- შპს „მზის ენერჯის კომპანია“ - მზის ელ. სადგური;
- სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ - ქართლი 2 ქარის ელ.სადგური.
- შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ - ლახამი 1 და ლახამი 2 ჰესები;
- შპს „ფერი“ - სამყურისწყალი 1 ჰესი;
- სს „სუფსა ენერჯი“ - ბარამიძე ჰესი;
- შპს „ხეორიჰესი“ - ხეორი ჰესი;
- შპს „ალაზანი ენერჯი“ - ხადორი 3 ჰესი;
- შპს „ენერგო-არაგვი“ - არაგვი 2 ჰესი;
- შპს „ენერჯი დეველოპმენტ ჯორჯია“ - საშუალა 1 და საშუალა 2 ჰესები;
- შპს „ჯეო ფაუერ“ - ბაისუბანი ჰესი და ახალსოფელი ჰესი;
- შპს „ჰიდრო ენერჯი“ - ახალქალაქი ჰესი;
- შპს „ეკოჰიდროპლიუსი“ - ლუხრა ჰესი;
- შპს „ეკოჰიდრო“ - ნაკრა 1 და ნაკრა 2 ჰესები;
- შპს „ჰიდროლეა“ - თბილისი ჰესი;
- შპს „ჯორჯიან ჰიდრო ფაუერ“ - ბახვი 2 ჰესი;
- შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“ - კამარა ჰესი;
- შპს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ - უდაბნოს მზის ელ.სადგური;
- შპს „გრინენერჯი“ - ანდეზიტ ჰესი;
- შპს „ხრამი კასკადი“ - ხრამი 3, ხრამი 4 და ხრამი 5 ჰესები;
- შპს „პირველი“ - პირველი და პირველი 1 ქარის ელ.სადგურები;
- შპს „AEGEAN“ - სააკაძის და ზემო ქარის ელ.სადგურები;
- შპს „დვზ-ენერჯი“ - მაშავერა-2015 ჰესი.

გაისცა გენერაციის ლიცენზია და ექსპლუატაციაში შევიდა ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგური, რომლის დადგმული სიმძლავრე 13.2 მგვტ-ია.

ოპერირება დაიწყო „შაქშაქეთი ჰესმა“, რომლის დადგმული სიმძლავრე 1.5 მგვტ-ს შეადგენს. ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა შიდა ქართლში შპს „მედგრუპ ჯორჯიამ“ განახორციელა.

საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში ჩაერთო საგურამო ჰესი, რომლის დადგმული სიმძლავრე 5 მგვტ.-ია. ამ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში განახორციელა.

გაისცა გენერაციის ლიცენზია ქართლის ქარის ელექტროსადგურსა (შპს „ქართლის ქარის ელექტროსადგური“ - 20.7 მგვტ) და დარიალი ჰესზე (შპს „დარიალი ენერჯი“ - 108 მგვტ).

2016 წლის 1 თებერვლის საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, ჩატარებულ ინტერესთა გამოხატვებზე გამოცხადდა გამარჯვებული კომპანიები:

- სნოსწყალი ჰესი (22.2 მგვტ): შპს „როიალ ბილდინგ ჯორჯია“ - განკარგულება N92;
- აწყური ჰესი (10.4 მგვტ): შპს „მტ გრიინ ენერჯი“ - განკარგულება N94;
- საყუნეთი ჰესი (10.4 მგვტ): შპს „მტ გრიინ ენერჯი“ - განკარგულება N91;
- დვირი ჰესი (10.4 მგვტ): შპს „მტ გრიინ ენერჯი“ - განკარგულება N90;

გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს მთავრობას და შპს „ხვამლი“-ს შორის „ჟონოული 1“ ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ფაზის დაწყების შესახებ.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.

ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმები, ელექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევის, მშენებლობის, ფლობის და ოპერირების თაობაზე.

ექსპლუატაციაში შევიდა ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგური;

გაიცა ლიცენზიები და ოპერირება დაიწყო; ტყიბულის ქვანახშირის თბოსადგურმა, „შაქშაქეთი ჰესმა“, „საგურამო ჰესმა“, ქართლის ქარის ელექტროსადგურმა, „დარიალი ჰესმა“.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება

ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობის გაზრდა;

უცხოური ინვესტიციების მოცულობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

26 მემორანდუმი. 148,4 მგვტ დადგმული სიმძლავრის ახალი სადგურები.

1.1.1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - 36 01 01 02 სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

ხელი მოეწერა სახელმწიფოსა და „Vectra Peptroleum Limited“-ს შორის VII B სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების დამატება №1-ს.

გაგრძელდა „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიასზე“ გაცემული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიის მოქმედების ვადა. კომპანიაზე გაცემული ლიცენზია №000002 მოქმედებს 2017 წლის 14 ნოემბრამდე.

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ საქმიანობის ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო სააგენტომ, „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-8 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, დაიწყო საქმიანობის ლიცენზიის შეწყვეტის პროცედურები.

XIB სალიცენზიო ბლოკზე ჩატარდა არსებული საექსპლუატაციო ჭაბურღილების, ნავთობისა და გაზის შემკრები პუნქტების, აჯგდ-ების (ავტომატური ჯგუფური გამზომი დანადგარების) და ნავთობსადენებზე ფლუიდის ამოღების, მოგროვების, ტრანსპორტირებისა და მომზადების მონიტორინგი.

XIB სალიცენზიო ბლოკზე დათვალეირებულ იქნა გაზის მომპოვებელი სამგორის 120 ჭაბურღილი და მისი ინფრასტრუქტურა.

ნავთობისა და გაზის ოპერაციების კონტროლის მიზნით განხორციელდა შპს „ჯინდალ პეტროლეუმ ლიმიტედის“, შპს „კანარგო ჟორჯიას“, შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯიას“, შპს „ნორიოს საოპერაციო კომპანიის“ ობიექტების შემოწმება.

გაზსაცავის მოწყობის ლიცენზიის შემოღებასთან დაკავშირებით დაიწყო ცვლილებების შემუშავება საქართველოს კანონში „ნავთობისა და გაზის შესახებ“.

ტრანსპორტირების ლიცენზიის პირობებისა და ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტოს უფროსის 2014 წლის 17 ოქტომბრის №11/126 ბრძანებით დადგენილი გაზის ტრანსპორტირების კვარტალური ანგარიშის წარმოდგენლობის გამო შპს „ფრონტერა ისტერნ ჯორჯია“ დაჯარიმებულ იქნა 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.

პერმანენტულად მიმდინარეობს სხვადასხვა სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულების (პწგხ) პირობების ზედამხედველობა და კონტროლი.

დასრულდა მუშაობა „ნავთობის შენახვისას ბუნებრივი დანაკარგების ზღვრული ოდენობებისა და მათი დადგენის წესზე“. აღნიშნული წესები დამტკიცდა სააგენტოს უფროსის 2016 წლის 8 აგვისტოს ბრძანება №11/075-ით.

სააგენტოს მიერ დამტკიცებულ იქნა განაცხადი XIB ბლოკის თელეთის თაღზე №37 ჭაბურღილში ნავთობისა და გაზის ნარჩენების ჩაჭირხვნაზე.

ნავთობისა და გაზის ოპერაციების კონტროლის მიზნით განხორციელდა შპს „ვი პი ჯორჯიას“ ობიექტების შემოწმება.

გრძელდება მუშაობა H სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პწგხ-ს დამატება №3-ზე, XI^{II} სალიცენზიო ბლოკის პწგხ-ს დამატება №2-სა და VIII სალიცენზიო ბლოკის პწგხ-ს დამატება №4-ზე.

მიწისქვეშა გაზსაცავის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით დაიწყო მოლაპარაკებები სს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან XI^B სალიცენზიო ბლოკზე გაფორმებული პწგხ-ს განახლებული ვერსიის შესაქმნელად.

დაიწყო მოლაპარაკებები ჯინდალ პეტროლეუმ ჯორჯია ლიმიტედთან, გაზსაცავის მოწყობის მიზნით სამგორი სამხრეთი თალის გადაცემის და ამავე ბლოკზე გაფორმებულ პწგხ-ში შესაბამისი ცვლილებების ასახვის მიზნით.

შედგა შეხვედრა პოტენციურ ინვესტორებთან ქ.ფოთში გადამამუშავებელი ქარხნის მშენებლობის თობაზე.

2016 წლის ბოლოსათვის მომზადებულია სატენდერო პაკეტები ხმელეთის V, VIA, VIB, და XIV და შავი ზღვის II^B, II^P, და III სალიცენზიო ბლოკებისთვის.

მომზადდა დამატებები 3 პწგხ-სთვის. მათ შორის ერთი, VII სალიცენზიო ბლოკის პწგხ-ს დამატება, ითვალისწინებს პწგხ-ში ახალი ინვესტორის შემოსვლას.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

თავისუფალ სალიცენზიო ბლოკებზე ტენდერის გამოცხადება;

მომპოვებელი სალიცენზიო ბლოკების შემოწმება გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკის მიხედვით;

მიღწეული შუალედური შედეგები:

განხორციელდა გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის მონიტორინგის გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ყველა მომპოვებელი სალიცენზიო ბლოკის ინსპექტირება;

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

სააგენტოს მიერ დამტკიცებულ იქნა 14 განაცხადი, მათ შორის: 2 ბურღვის პროექტი; 2 განაცხადი ნავთობისა და გაზის ნარჩენების ჩაჭირხვნაზე; 8 განაცხადი ჭაბურღილების დროებითი (სამ თვის ვადით) კონსერვაციაზე; 1 განაცხადი მეორე ლულის ბურღვაზე; 1 განაცხადი ნარჩენების განთავსებაზე.

შემოწმებული იქნა 5 სალიცენზიო ნავთობმომპოვებელი ბლოკის ინსპექტირება. ბლოკებზე არსებული ნავთობის შემკრები პუნქტებისა და სათაო ნაგებობების ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანიებს ჩასატარებელი აქვთ სამუშაოები გარემოსა და ტექნიკური უსაფრთხოების დაცვის კუთხით. გამოვლენილი დარღვევების ხასიათის და ჩასატარებელი სამუშაოების მოცულობის მიხედვით, კომპანებს განესაზღვრათ შესაბამისი ვადები დარღვევების გამოსასწორებლად.

ნავთობზე 2016 წლის განმავლობაში დაფიქსირებული დაბალი საერთაშორისო ფასების გამო თავისუფალ სალიცენზიო ბლოკებზე ტენდერის გამოცხადება ჩაითვალა მიზანშეუწოლად;

1.1.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - მოსახლეობის ელექტროენერგითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება 36 01 02

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

„საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ“ 2016 წლის 25 თებერვლის N303; 25 მარტის N511 და 7 ივნისის N1362 საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, დაიწყო მუშაობა ზესტაფონის, გურჯაანის, ზუგდიდის, ახმეტის, კასპის, გარდაბნის,

წყალტუბოს, დუშეთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის, ტყიბულის, გორის, მცხეთის, ბაღდათის, ლაგოდეხის, ხარაგაულის, ჩხოროწყის, ვანის, მარტვილის, თეთრიწყაროს და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების სოფლების გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების შესრულება;

აღნიშნულის სამუშაოების განხორციელების შემდეგ, 2016 წელს საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 10 ათასამდე აბონენტს.

დასრულდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლების: ბავარი, მანანაური, ცხუმალდი, ხაჩეში - ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები.

დასრულდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელი ხანის მოსახლეობის ელექტრომომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობის სამუშაოები;

დასრულდა და ესპლუატაციაში მიღებული იქნა, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუცოში 100 კვტ.-იანი სიმძლავრის მცირე ჰესის და შიდა გამანაწილებელი ქსელის სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები დაიწყო 2014 წელს.

დასრულდა და ესპლუატაციაში მიღებული იქნა, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლელუბანის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ შროშას ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოები დაიწყო 2014 წელს.

დასრულდა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახაშენის ელექტროგადამცემი ხაზების სამშენებლო სამუშაოები.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ბუნებრივი აირის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირების საკითხის გადაწყვეტა; უშუქო სოფლების მოსახლეობის უზრუნველყოფა ელექტროენერჯით.

მიღწეული შუალედური შედეგები:

საქართველოს მასშტაბით ბუნებრივი გაზის ქსელში ჩართვის საშუალება მიეცა 10 ათასამდე ახალ აბონენტს; ლენტეხის, ბაღდათის, დუშეთის და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების სოფლების მოსახლეობა უზრუნველყოფილია ელექტროენერჯით.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ბუნებრივი აირის დაახლოებით 10000-მდე ახალი პოტენციური აბონენტი;

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ბუნებრივი აირის პოტენციური 10300-მდე ახალი აბონენტი; ელექტროენერჯით უზრუნველყოფილია ახალი 113 აბონენტი.

1.1.3 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი - ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება 36 01 03

ქვეპროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

“საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ”, საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, გაზგამანაწილებელი კომპანია “სოკარ ჯორჯიაგაზის” მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, განხორციელდა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლებში, აგრეთვე ის სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ, მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისათვის 2015 წლის დეკემბრის, 2016 წლის იანვარ-მაისის და ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურება, მოხმარებული ბუნებრივი აირის ოდენობამ 10 018 660 კუბ/მ შეადგინა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ზამთრის პერიოდში მაღალმთიანი სოფლებში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდიის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა დაახლოებით 4300 აბონენტი.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები 4300 მდე აბონენტი

2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, შპს ენგურჰესი,

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში
36 02	პროგრამა ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	3000.0	5200.0	4999.7	96.15 %
360201	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC)	3000.0	5200.0	4999.7	96.15 %

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაცია;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) რეაბილიტაცია, საპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ენგურჰესს გააჩნია სრული საპროექტო სიმძლავრე

დაგეგმილი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრე 4,2 მლრდ. კვტ.სთ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორი

ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრე 4,2 მლრდ. კვტ.სთ.

2. 1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EIB, EC) 36 02 01

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

ვარდნილჰესზე სამუშაოების მიმდინარეობა:

- ელექტრომექანიკური კონტრაქტი:
 - დასრულდა ვარდნილჰესის სამივე აგრეგატის რეაბილიტაცია;
 - დასრულდა 220 და 110 კვ ღია გამანაწილებელი სადგურის რეაბილიტაცია.
 - დასრულდა კომისირების სამუშაოები.
- ჰიდრომექანიკური სამუშაოების კონტრაქტი:
 - დასრულდა სამივე სადაწნეო მილსადენების რეაბილიტაცია;
 - დასრულდა სიღრმული წყალსაშვის, გამყვანი არხის, უქმი წყალსაშვისა და წყალმიმღების ფარების, ამწეებისა და სხვა ჰიდრომექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია.
 - დასრულდა საბოლოო ხარვეზების აღმოფხვრა/გასწორების სამუშაოები.
- სამშენებლო სამუშაოების კონტრაქტი:
 - დასრულდა სიღრმული წყალსაშვის მშენებლობა
 - უქმი წყალსაშვის რეაბილიტაცია დასრულებულია.
 - მისასვლელი 4კმ ბეტონის საფარიანი ახალი გზის მშენებლობა მთლიანად დასრულდა.
 - დასრულდა გამყვანი არხის გაწმენდა.
 - მიმდინარეობს შემდგომი რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის ობიექტის მომზადება (ჯგბირის მშენებლობა - წყლის ამოტუმბვა). პირველ რიგში ჩატარდება ობიექტის გამოკვლევა და დადგინდება დამეწყრილი ფერდის ზეგავლენა არხის ძირის სტაბილურობაზე. ამის შემდეგ შედგება სამუშაოების პროექტი და გეგმა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

წყალსატარი გზების რეაბილიტაცია - გამყვანი არხის საამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. არხის საპროექტო სიმძლავრის (არხის გამტარიანობა) უზრუნველყოფა, ვარდნილჰესის საპროექტო პარამეტრების უზრუნველყოფა, ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ვარდნილჰესის ჰესის მუშაობის საიმედოობა; უზრუნველყოფილია ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭირო წყლის გატარება

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

არხის საპროექტო გამტარიანობა

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ენგურჰესს გააჩნია: საპროექტო სიმძლავრე 1300 მგვტ, ელექტროენერჯის გამომუშავება 4,2 მლრდ. კვტ.სთ.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

რეგინალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

3.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო, სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში %
36 03	პროგრამა სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	172000.0	169800.0	154381.7	90.92%
360301	ქვეპროგრამა რეგიონალური ელექტროგადამცემი გაუმჯობესების პროექტი (ADB)	61000.0	61000.0	60832.6	99.73 %
360302	საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის დია პროგრამა	64100.0	61900.0	42511.0	68.68 %
36030201	ქვეპროგრამა 500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KFW)	22100.0	22100.0	11584.3	52.42 %
36030202	ქვეპროგრამა ჯვარი ხორგას ხაზი ელექტროგადამცემი ხაზი (KFW, EC, EBRD)	42000.0	39800.0	30926.7	77.71 %
360303	ქვეპროგრამა 220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB)	46900.0	46900.0	51038.1	108.82 %

3.1.1. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი (ADB) 36 03 01

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

პროექტი წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის განვითარების გეგმის ნაწილს. პროექტის მიზანია არსებული ქვესადგურების რეაბილიტაცია და ახალი ქვესადგურების მშენებლობა.

- ახალი 220/110 კვ ძაბვის ქ/ს „ხორგას“ მშენებლობა.
პროექტი დასრულდა. ქვესადგური ჩართულია და ფუნქციონირებს სრული დატვირთვით.
- 500/220/110კვ „ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაცია
2016 წლის 10 ოქტომბერს დაწყებული ქვესადგურის ტესტირება დასრულდა 7 ნოემბერს. დარჩენილი 110 კვ მოწყობილობების მოწოდება, კონტრაქტის #2 ცვლილების მიხედვით, განხორციელდა 2016 წლის დეკემბერში. ქვესადგურის საექსპლუატაციოდ მზადყოფნის სერთიფიკატი გაიცა 2016 წლის 23 დეკემბერს.
- 220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგურის გაფართოება 500კვ ფრთით;
2016 წლის 7 ოქტომბერს დასრულდა ფიზიკური სამუშაოები. 2016 წლის 7 ნოემბერს დაწყებული ქვესადგურის ტესტირება დასრულდა 5 დეკემბერს. ქვესადგურის საექსპლუატაციოდ მზადყოფნის სერთიფიკატი გაიცა 2016 წლის 27 დეკემბერს.
- 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგურში ძალოვანი ტრანსფორმატორის შეცვლა;

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

საქართველოს ენერგოსისტემის მუშაობის საიმედოობის ამაღლება;
ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის და ტრანზიტის განხორციელების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;

მიღწეული შუალედური შედეგები:

„ხორგას“ პროექტის განხორციელების შედეგად, შესაძლებელია ქვეყანამ განახორციელოს ელექტროენერჯის ექსპორტი თურქეთში, ასევე ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ელექტროენერჯით უზრუნველყოფა.

„ქსანი“ ქვესადგურის რეაბილიტაციის შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ელექტროენერჯის ძაბვის პარამეტრების ხარისხი, ასევე ახალი რეაქტორი წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგოსისტემის სტაბილურობისა და 500კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზებზე წარმოქმნილი რეაქტიული სიმძლავრის კომპენსაციაში.

„მარნეულის“ და „მენჯის“ ქვესადგურების რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს ჩვენი ენერგოქსელის იმედიანობისა და უსაფრთხოების გაზრდას, ახალი გენერაციის ობიექტების ქსელთან მიერთებას და საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ახალი 220/110 კვ ძაბვის ქ/ს „ხორგა“;
რეაბილიტირებული 500/220/110კვ ქვესადგური „ქსანი“;
220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგური რეაბილიტირებული და გაძლიერებულია 500კვ ფრთით;
რეაბილიტირებული 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგური.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

დასრულებული ახალი 220/110 კვ ძაბვის ქ/ს „ხორგა“;
რეაბილიტირებული 500/220/110კვ ქვესადგური „ქსანი“;
220/110კვ „მარნეულის“ ქვესადგური რეაბილიტირებული და გაძლიერებულია 500კვ ფრთით;
რეაბილიტირებულია 220/110კვ „მენჯის“ ქვესადგური.

3.1.2. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

500 კვ ეგხ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა (EBRD, EC, KFW) 36 03 02 01

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -

ეგხ-ს ტრასა პირობითად დაიყო 5 მონაკვეთად რათა შემჭიდროებული ვადის გამო ოპერატიულად განხორციელდეს შესაბამისი ნებართვების აღება და მშენებლობის დაწყება. მიღებულია პირველი ეტაპის მშენებლობის ნებართვა, გაიგზავნა დოკუმენტაცია მეორე ეტაპის მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

5 მაისს დაიწყო მუშაობა ობიექტზე, სულ 23 ფუნდამენტზე. მიმდინარეობს მუშაობა ფუნდამენტებზე. კონტრაქტორმა წარმოადგინა ხის ჭრის გეგმა. დაწყებულია ტერიტორიების ბუჩქებისგან გასუფთავება.

დასრულებულია ხაზის დეტალური პროექტირება და წარმოდგენილია ანძების საბოლოო კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის. წარმოდგენილია ტოპოგრაფიული და საკადასტრო გეგმები 180-248 მონაკვეთისთვის.

მომზადდა და დამტკიცდა განსახლების სამოქმედო გეგმა 0-20კმ და 20-40კმ მონაკვეთებისთვის. 40-60 კმ მონაკვეთის გეგმა გადაცემულია გერმანიის განვითარების ბანკში განსახილველად. 60-80 კმ გეგმა გადაცემულია მთავრობაში დასამტკიცებლად. გერმანიის ბანკის თანხმობა მიღებულია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ქსანი-სტეფანწმინდას 500 კვ ხაზის მიმდინარე მშენებლობა;

მიღწეული შუალედური შედეგები:

დასრულებულია ხაზის დეტალური პროექტირება;

განსაზღვრულია ანძების საბოლოო კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის; მომზადდა და დამტკიცდა განსახლების სამოქმედო გეგმის ნაწილი.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ხაზის პროექტირების დასრულება;
ანძების კოორდინატების განსაზღვრა
განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

500 კვ ე.გ.ხაზის დეტალური პროექტი;
ანძების კოორდინატები პირველი მონაკვეთისათვის;
განსახლების სამოქმედო გეგმები 0-20კმ და 20-40კმ მონაკვეთებისთვის.

პროექტზე დაფიქსირდა შესრულება დაახლოებით 55%-ით.
ცდომილება ძირითადად გამოწვეულია განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების, შეთანხმებისა და დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურების ვადების გაჭიანურებით, რაც თავის მხრივ აჭიანურებს მიწების გამოსყიდვას და მათ გადაცემას ანძების ფუნდამენტების მოსაწყობად.

3.1.3. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი

ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი (EBRD, EC, KfW) 36 03 02 02
პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა - პროექტი ითვალისწინებს:

- 220კვ ეგხ-ს მშენებლობა ჯვარი - ხორგა(60კმ) და არსებული 500კვ ეგხ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (8 კმ); დიზაინი განხილული და შეთანხმებულია. თებერვლის თვეში განხორციელდა 220 კვ და 500 კვ ფუნდამენტების მოწყობა. 500 კვ ნაწილისთვის განხორციელდა 8 ანძის მონტაჟი, ჩასხმულია 16 ფუნდამენტი 21 ფუნდამენტიდან, ხოლო 220 კვ ნაწილისთვის ჩასხმულია 102 ფუნდამენტი 169 ფუნდამენტიდან. მიმდინარეობს განსახლების სამოქმედო გეგმის განხორციელება.
- ახალი 500/220 კვ ძაბვის ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში.
პროექტი დასრულდა; ხელმოწერილია ქვესადგურის გადმოცემის დოკუმენტი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

ახალი 500/220 კვ ძაბვის ქვესადგური

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების (მთლიანი მოცულობის 50%) შესრულება

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

ახალი 500/220 კვ ძაბვის ქვესადგური ჯვარში.
დამონტაჟებული 8 ანძა, მომზადებული 118 ფუნდამენტი 190 დან.

პროექტზე დაფიქსირდა ჩამორჩენა დაგეგმილის დაახლოებით 35%-ით.
ცდომილება ძირითადად გამოწვეულია მიწების გამოსყიდვებთან დაკავშირებით მოსახლეობასთან არსებული პრობლემებით, რითაც ფერხდება შესაბამისი მიწის ნაკვეთების გადაცემა ფუნდამენტების მოსაწყობად.

3.1.4. ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი
220 კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (WB) 36 03 03

პროგრამის განმახორციელებელი - სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა -
პროექტი ითვალისწინებს:

- ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;
- ხაზის სიგრძე 150 კმ, დასამონტაჟებელი ანძების რაოდენობა დაახლოებით 500;
- გამტარუნარიანობა 350 მგვტ;

განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი
ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (ჯამში 360
მგვტ).

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

დაწყებულია ანძების ფუნდამენტის მშენებლობა; ჩატარებულია გეოლოგიური კვლევები; მოწყობილია
მისასვლელი გზები. დაწყებულია სადენების გაჭიმვა.

დაგეგმილი შუალედური შედეგების ინდიკატორები:

პროექტის სრული მოცულობის დაახლოებით 20%-ის შესრულება.

მიღწეული შუალედური შედეგების ინდიკატორები:

დასრულებულია 77 ანძის ფუნდამენტის მშენებლობა, დარჩენილია - 64.

გეოლოგიური კვლევა ჩატარებულია 110-ზე, ჩასატარებელია 31-ზე.

პირველი ფაზის 141 მისასვლელი გზიდან, მოწყობილია 112 გზა, მოსაწყობია - 29.

პროექტის საერთო პროგრესი (პირველი და მეორე ფაზების, ჯამში) – 61%